ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

მაისი 2022

საქართველო

გამყვანი ტურიზმის აღდგენა

2022 წლის პირველი კვარტალი

PMCG Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

მაისი 2022

- 2022 წლის მარტსა და აპრილში საგრძნობი განსხვავებები შეინიშნება შერჩეული ქვეყნების **რეზიდენტების შემოსვლებსა და გასვლებს შორის**, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში შემოსული მოგზაურების მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით რუსეთიდან და უკრაინიდან, ქვეყანა ჯერ არ დაუტოვებია.

- სამოგზაურო შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ, **საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტები** მნიშვნელოვნად აღდგა და 2022 წლის I კვარტალში პანდემიამდელი რაოდენობის თითქმის ნახევარს მიაღწია.

- ვიზიტორთათვის ძირითადი **დანიშნულების ქვეყანა** იყო თურქეთი, რასაც მოსდევდა რუსეთი, სომხეთი და ევროკავშირის ქვეყნები.

- 2022 წლის პირველ კვარტალში საზღვარგარეთ გასული **ქართველი ვიზიტორების ხარჯმა** 285 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 14%-ით, ხოლო 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 21%-ით ნაკლებია.

- 2022 წლის მაისში საქართველოში **სასტუმროების ფასების ინდექსი** (HPI) 2022 წლის აპრილთან შედარებით 8.1%-ით, ხოლო 2021 წლის მაისთან შედარებით 8.9%-ით გაიზარდა.

საერთაშორისო მოგზაურობის დინამიკა

- **საერთაშორისო მოგზაურთა**[1] რიცხვი 2022 წლის მაისში 228.5%-ით გაიზარდა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 50.3%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

- **საერთაშორისო ვიზიტორების**[2] რაოდენობა 205.3%-ით გაიზარდა (2022/2021) და 48.3%-ით შემცირდა (2022/2019), ხოლო **საერთაშორისო ტურისტების**[3] რაოდენობა 173.9%-ით გაიზარდა (2022/2021) და 37.7%-ით შემცირდა (2022/2019).



წყარო: საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

- 2022 წლის მაისში[4] საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობით გამოირჩეოდნენ **რუსეთი** (40 743 ვიზიტით), **თურქეთი** (38 329 ვიზიტით) და **სომხეთი** (32 743 ვიზიტით).

- საქართველოს მსხვილ ტურისტული ბაზრებს შორის, **საუდის არაბეთიდან** (1254%), **უზბეკეთიდან** (327%), **ბელარუსიდან** (139%), **ინდოეთიდან** (120%) და **ყაზახეთიდან** (49%) საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 2019 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

1 საერთაშორისო მოგზაურები მოიცავს იმ ადამიანებს, ვინც გადაადგილდებიან გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებს შორის ნებისმიერი მიზნითა და ხანგრძლივობით. აღნიშნული ტერმინი მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები და არ მოიცავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები.
2 საერთაშორისო ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც ტოვებს საკუთარ ჩვეულ საცხოვრებელს 1 წელზე ნაკლები პერიოდითა და ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება და სხვა პირადი მიზანი) გარდა ვიზიტის ქვეყანაში რეზიდენტ დანესებულებაში დასაქმებისა. საკუთარ საცხოვრებელში მოიაზრება გეოგრაფიული არეა, სადაც პიროვნება ახორციელებს მის რეგულარულ ცხოვრების რუტინას. ამის გათვალისწინებით, სტატისტიკა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც 8 ან მეტ ვიზიტს ახორციელებენ საქართველოში.
3 ვიზიტორი (ადგილობრივი, უცხოელი და გამყვანი) კლასიფიცირდება როგორც ტურისტი, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.
4 გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო ვიზიტორთა სტატისტიკის დათვლისას გამოყენებულია ვიზიტორთა მიერ საქართველოს დატოვების მონაცემები, შესაბამისად აღნიშნული სტატისტიკა სრულად არ ასახავს 2022 წლის შესაბამის თვეში შემოსული ვიზიტორების რაოდენობას.
5 https://businessformula.ge/News/8697

რუსების, ბელორუსების და უკრაინელების შემოსვლები და გასვლები

- რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საზღვრის გადაკვეთის სტატისტიკამ გამოავლინა **მნიშვნელოვანი განსხვავებები რუსების, ბელორუსების და უკრაინელების შემოსვლებსა და გასვლებს შორის**.



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, შინაგან საქმეთა სამინისტრო

- იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა, არსებობდეს გარკვეული სტატისტიკური შეუსაბამობები[6], 2022 წლის მარტისა და აპრილის განმავლობაში, რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების საქართველოში შემოსვლების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმავე პერიოდში ქვეყნიდან გასვლების რაოდენობას.
- **აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებით დიდია რუსებისთვის,** რომლებსაც მოჰყვებიან უკრაინელები და ბელარუსები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ შერჩეული ქვეყნებიდან მოგზაურთა მნიშვნელოვან ნაწილს ქვეყანა არ დაუტოვებია.
- ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს მხოლოდ მარტსა და აპრილში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი განსხვავებები შემოსვლებსა და გასვლებს შორის.

6 სტატისტიკური შეუსაბამობები შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ გასვლები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორებს (იხ. მე-2 განმარტება სქოლიოში) და მონაცემები აღებულია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდიდან. ხოლო, გასვლები მოიცავს მოცემული ქვეუნის ყველა მოქალაქეს და მონაცემები აღებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდიდან.

- 2021 წლის დასაწყისიდან რიგმა ქვეყნებმა შეამსუბუქეს საზღვრის კვეთის შეზღუდვები. აქედან გამომდინარე, **საერთაშორისო ტურიზმის აღდგენის ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა**. 2022 წლის პირველ კვარტალში მსოფლიოში ტურისტული ნაკადების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით[7].

საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტები და მათი შედარება შესაბამის პანდემიამდელ (2019) პერიოდთან, 2019-2022 კვ. I



წყარო: საქსტატი

- 2022 წლის პირველ კვარტალში, 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, **საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 274%-ით გაიზარდა**.

- 2022 წლის პირველ კვარტალში, ვიზიტების რაოდენობამ **პანდემიამდელი მაჩვენებლის თითქმის ნახევარს მიაღწია** (55%-ით ნაკლები 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით).

- ვიზიტების **ძირითადი დანიშნულების ქვეყნები** პანდემიამდელი მონაცემების მსგავსი აღმოჩნდა. 2022 წლის პირველ კვარტალში ვიზიტორების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანიშნულების ადგილად **თურქეთი** (46%) აირჩია, რასაც მოსდევდა **რუსეთი** (12%), **სომხეთი** (12%) და **ევროკავშირი** (12%). 2022 წლის I კვარტალში, **აზერბაიჯანში** ვიზიტების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა (1% შეადგინა, როცა 2019 წლის I კვ.-ში 23% იყო), რაც აზერბაიჯანის მიერ სახმელეთო მიმოსვლაზე მკაცრი შეზღუდვების შენარჩუნებით აიხსნება[8].

7 UNWTO World Tourism Barometer https://www.unwto.org/news/tourism-recovery-gains-momentum-as-restrictions-ease-and-confidence-returns
8 https://www.geoconsul.gov.ge/HtmlPage//html/View?id=2152

გამყვანი ტურიზმის ძირითადი ინდიკატორები

- 2022 წლის I კვარტალში, ვიზიტის ძირითადი **მიზნის მიხედვით** საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების განაწილება გვიჩვენებს 2020 წლის I კვარტლისა და 2019 წლის I კვარტლის მსგავს სურათს. 2022 წლის I კვარტალში, ვიზიტორთათვის ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო მეგობრების/ნათესავების მონახულება (მთლიანი ვიზიტების 31%) და საყიდლები (31%), რასაც მოსდევდა პროფესიული (20%) და რეკრეაციული (12%) მიზნები.
- ვიზიტორების **დანახარჯებმა** 2022 წლის I კვარტალში 285 მლნ ლარს მიაღწია, რაც 2020 წლის I კვარტალთან შედარებით 14%-ით, ხოლო 2019 წლის I კვარტალთან შედარებით 21%-ით ნაკლებია.
- დანახარჯების მნიშვნელოვანი აღდგენა ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობის ზრდით. 2022 წლის პირველ კვარტალში ვიზიტებისას გათეული **ღამეების საშუალო რაოდენობა** 6,5 ღამე იყო, რაც 2020 წლის პირველ კვარტალთან და 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 2.5 და 3.1 ღამით მეტია.
- 2022 წლის I კვარტალში **ვიზიტორების ხარჯების განაწილება** წინა პერიოდების მსგავსია (2019 წლის I კვ. და 2020 წლის I კვ.), თუ არ ჩავთვლით საყიდლების წილის მნიშვნელოვანი ზრდასა (მთლიანი დანახარჯების 40%) და დასვენების წილის კლებას (2%).





წყარო: საქსტატი

*გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური სამუშაოები შეჩერებული იყო 2020 წლის მეორე კვარტლიდან 2022 წლის პირველ კვარტლამდე.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[9] 2022 წლის მაისში, 2022 წლის აპრილთან შედარებით, 8.1%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 9.1%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.5%-ით შემცირდა.
- 2022 წლის მაისში, 2021 წლის მაისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 8.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.1%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 13.5%-ით გაიზარდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი გურიასა (22.3%) და აჭარაში (10.9%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი რაჭაში (-15.6%).
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო შიდა ქართლსა (28.8%) და კახეთში (21.4%), ყველაზე ნაკლები კი აჭარაში (-9.8%).

რეგიონი	**სასტუმრო**		**3*, 4*, 5***		**საოჯახო**	
	2022 მაი/ 2022 აპრ	**2022 მაი/ 2021 მაი**	**2022 მაი/ 2022 აპრ**	**2022 მაი/ 2021 მაი**	**2022 მაი/ 2022 აპრ**	**2022 მაი/ 2021 მაი**
კახეთი	5.6%	21.4%	10.7%	21.2%	2.4%	21.4%
იმერეთი	1.4%	12.4%	1.0%	-1.8%	1.7%	25.3%
გურია	22.3%	-4.1%	30.7%	-1.0%	0.0%	-12.8%
ქვემო ქართლი	0.0%	-9.8%	0.0%	13.4%	0.0%	-42.9%
აჭარა	10.9%	12.6%	13.4%	13.3%	8.3%	10.7%
რაჭა	-15.6%	28.8%	-	-	-15.6%	28.8%
შიდა ქართლი	4.6%	1.7%	0.9%	4.6%	6.5%	-6.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7.0%	0.0%	6.5%	-7.0%	7.5%	6.1%
სამცხე-ჯავახეთი	-1.1%	0.2%	2.4%	7.4%	-3.6%	-6.5%
მცხეთა-მთიანეთი	2.7%	2.5%	-0.1%	-1.9%	5.2%	6.7%
თბილისი	9.3%	8.5%	9.6%	7.4%	6.5%	18.7%
სულ ფასების % ცვლილება	**8.1%**	**8.9%**	**9.1%**	**8.1%**	**5.5%**	**13.5%**

9 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2022 წლის მაისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[10] **148 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **255 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[11] საშუალო ფასმა მარტში **105 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მაისში **468 ლარი** შეადგინა. კახეთში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 581 ლარი შეადგინა, თბილისში - 558, გურიაში - 447, ხოლო აჭარაში - 457 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 აპრილი, ლარი)



10 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

11 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021	2021	I 2022
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	197.8*	452.2*	602.3*	472.0*	1724.4*	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	134.7	351.3	815.4	579.8	1881.3	576.5
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7	1577.5	456.0
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	53.6*	246.1*	566.0*	379.3*	1244.9*	393.7*
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	19.7*	37.1*	62.6*	64.5*	184.1*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	120.0	109.5	82.3	123.4	-249.5	-0.9*	-1.4*	10.7*	0.7*	7.7*	12.1*

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
კვლევითი ასისტენტი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org